საგანმანათლებლო ხარისხი რომ დღევანდელობის მთავარი გამოწვევაა, ეს ფაქტია, მაგრამ როგორ, რა საშუალებებით უნდა გადაჭრას სკოლამ ეს პრობლემა? ძნელია შეცვალო თანამედროვე მოსწავლე, მრავალმხრივი ინფორმაციით დატვირთულსა და მობილურზე მიჯაჭვულს გაუჩინო სწავლის მოტივაცია. ერთი რამ ნათელია: პათეტიკური მოწოდებებით ვერ შეცვლი მოსწავლეს, რაღაც სხვა, საინტერესო უნდა მიაგნო. ჩვენც ვეძებეთ და მივაგენით ერთ-ერთ ეფექტურ გზას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში ვთანამშრომლობთ პრინციპით **,,სკოლა-უნივერსიტეტს და უნივერსიტეტი-სკოლას“.** ჩვენი მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ უნივერსიტეტს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით. უნივერსიტეტის სტუდენტები სკოლის ბაზაზე გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას. თანამშრომლობის ფარგლებში მესამე წელია ვნერგავთ ერთ კარგ ტრადიციას-ერთობლივად ვატარებთ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას ,,განათლება თანამედროვეობის სამსახურში“ . წლევანდელი კონფერენცია მიეძღვნა სასკოლო პროექტს კულტურული მემკვიდრეობის თემაზე ,,რა განძი გვქონია“. საგნობრივი კათედრებმა შეიმუშავეს და საჯაროდ მოსწავლეებს გააცნეს საკონფერენციო საკითხთა წრე, პრობლემაზე ორიენტირებული თემატიკა. მე-9-მე-11 კლასის მოსწავლეებს დაევალათ გუნდურად დაემუშავებინათ პროექტები კულტურული მემკვიდრეობის თემაზე . პირველ ეტაპზე კათედრებმა გამოავლინეს საუკეთესო ნაშრომები, ხოლო დასკვნითი გაიმართა უნივერსიტეტის ბაზაზე.

უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტმა მოსწავლეებს თბილი და მზრუნველი გარემო დაახვედრა. საინტერესო კონფერენცია გამოგვივიდა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი ქეთევან ჭკუასელი, რომელმაც ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაზე და იმ დიდ წვლილზე, რომელიც ქართველმა მამულიშვილებმა შეიტანეს ამ საქმეში. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს პირველი უნივერსიტეტი დაარსდა ქართველ ქველმოქმედთა სახსრებით, მათი საოცარი ერთობით აშენდა და ეს აუცილებლად უნდა ახსოვდეს ახალ თაობას.

შემდეგ მოსწავლეებმა წარადგინეს თავიანთი ნაშრომები, . გუნდური პროექტების თემატიკა მრავალფეროვანი და აქტუალურობით გამოირჩეოდა , ეხებოდა თანამედროვეობის გამოწვევებს: მივიწყებული ისტორიული ძეგლების პრობლემატიკას, ქართული ღვინის, ქართული ხორბლის უნიკალურობას, ენგურჰესის, როგორც ქართული მატერიალური კულტურის ძეგლის როლს თანამედროვე საზოგადოებისათვის,. მარიონეტების თეატრის მნიშვნელობას ქვეყნის კულტურულ საგანძურისათვის, სვანური ტრადიციების უდიდესი გავლენას ახალ თაობაზე და სხვა. მოსწავლეები მსჯელობდნენ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ თვალსაჩინო მასალად ფოტოებს, ცხრილებს ,ამონარიდებს, თავიანთი ხელით შექმნილ მაკეტებს, რაც განაპირობებდა აუდიტორიის მაღალ ინტერესს. უნივერსიტეტის პროფესორები პოზიტიურ და სასარგებლო რჩევებს, რეკომენდაციებს კონფერენციის მონაწილეებს.

დასასრულს კონფერენციის მონაწილეები-მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდნენ უნივერსიტეტისა და სკოლის სერტიფიკატებითა და სუვენირებით.

სკოლას გულითად მადლობას უძღვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს სკოლის მიმართ გამოჩენილი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.